წელიწადი მეორე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!




ფასი 5000 მანეთი.

გაზეთი გამოდის ყოველდღიურათ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე.
რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. პირველი სართული.

კვირა, 8 ოქტომბერი. 1922 წ.

№ 113 ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილების ყოველდღიური ორგანო № 113

## დავეხმაროთ გურიის გლეხ-კაცობას რკინის გზის გაყვანაში.

საქ. საბჭოთა მთავრობამ ენერგიულად მოჰკიდა ხელი აღმშენებლობითი მუშაობას.

მას გაჰყავს მთელი რიგი სარწყავ არხებისა; გაჰყავს ახალი გზა-ტკეცილები, აგებს ხიდეებსა, დამბებს უკეთებს მთის მდინარეთ, რითაც ლაგამს სდებს მათ მძვინვარებას გლეხობის ნათესების განადგურებისაგან და სხ.

მთავრობასთან ერთად ამ დიად საქმეში ინტენსიურად მუშაობს თვით საქ. მშრომელი მასაც, რომელიც ბურჯათ უდგას თავის მუშურ გლეხურ მთავრობას გვერდით, და მასთან ერთად ეწევა მძიმე და გაცხოველებულ მუშაობას, ჩვენი ქვეყნის მრეწველობის და მეურნეობის აღორძინების საქმეში.

ამნაირად შრომელთა სასიხარულოთ, ხოლო ხალხის ყველა მოღალატეთა და გამცემთა სავალალოთ, დაინახა ყველამ, რომ საქ. მუშები და გლეხკაცობა ყველა-მთავრობებზე უკეთ, უჭერს მხარს თავის მუშურ-გლეხურ საბჭოთა მთავრობას, და მასთან ერთად აწყობს თავის ცხოვრებას თავის და საბედნიეროთ.

დეე, ყველა პროვოკატორმა და მოღალატემ შეხედოს დღეს საქ. მშრომელთა სოლიდარობას თავის მთავრობასთან მაგრამ დეე ყველა ყვავ-ყორნამა იჩხავლოს ამ დიად მოვლენის გამო, მათი ჩხავილი ოდნავ მაინც ვერ შეუცვლის გულს საქ. მშრომელთ, რომლებიც თავის მთავრობასთან ერთად ეწევა ცხოვრების ჭაპანს.

როგორც ვიცით წელს გაზაფხულზე, გურიის გლეხ-კაცობა შეუდგა საშვილიშვილო საქმის გაკეთებას.

მან განიზრახა და შეუდგა კიდეც რკინის გზის შტოს გაყვანას ოზურგეთ-ნატანებს შორის.

ვინ არ იცის რა დიდი მნიშვნელობა ექნება ამ რკინის გზას გურიისთვის.

ამის გაკეთების საკითხი ჯერ კიდევ ნიკოლოზის და მენშევიკების დროს იქნა წამოყენებული, მაგრამ მაშინდელ თავრობებს ამისთვის არ ეცალა და თვით მშრომელი ხალხი ხომ მათთან არ იყო?

დღეს კი, როცა არენაზე სამოქმედოთ გამოდის თვით მშრომელი მასსა, არ შეიძლებოდა ეს დიდი საკითხი უყურადღებოთ დარჩენილიყო და აი გურიის მშრომელმა გლეხ-კაცობამ ამხ. სარჯველაძის ინიციატორობით შეუდგა ამ გზის გაყვანას.

მაგრამ ის მარტო არ აღმოჩნდა ამ ფრონტზე და საქ. საბჭოთა მთავრობამ საკმაოდ დიდი თანხა მიიღო ამ საქმისთვის. მას აღმოუჩინა კიდევ დიდი დახმარება ბათომის მუშათა არტელმა და სხვა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა.

მაგრამ ეს კიდევ არ არის საკმაო. გურიის გლეხ-კაცობას ამ შემთხვევაში უნდა დაეხმაროს მთელი საქართველოს მშრომელნი და მასთან საქ. წით. არმიაც.

ამ მიზნით კიდეც იბეჭდება დღევანდელ ჩვენს გაზეთში ამხ. კობიძის წერილი, სადაც ის მოუწოდებს ჩვენს წ. არმიელთ დახმარების შეკრებისათვის.

— იყო დამშეული რუსეთი და საქართველო და ჩვენი არმიაც გულ მხურვალეთ გამოეხმაურა მათ და თავისი წვლილიც გაგზავნით შესძლო მათი მწვავე მდგომარეობის შემსუბუქება.

დეე, დღესაც გურიის საჭიროებასაც გამოეხმაურონ ჩვენი წით. არმიელები და ძმურად გაუწოდონ მათ ხელი.

ყველა უფ-შემადგენლობამ და წით. არმიელმა უნდა მიიღოს ამ შემთხვევაში მონაწილეობა, და ამნაირად ხელი შეუწყოს გურიის გლეხკაცობის თავისი მისიის შესრულებაში. ამხ. წით. არმიელებო, პოლიტმომუშავენო, და უფშემადგენლობავ მოვიხადოთ პირნათლად ჩვენი ვალი გურიის მშრომელთა წინაშე და ძმურად გაუწოდოთ მათ ხელი.

დეე, ყველა თქვენთაგანმა იცოდეს რომ ჩვენი გაღებული წვლილი ხმარდება დიად საქმეს გურიაში რკინის გზის გაყვანას.

## არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ...

ამხანაგებო! არც ჩვენ უნდა ჩამოვრჩეთ სამოქალაქო პარტორგანიზაციებსა რიგების წმენდაში; მით უმეტეს, რომ წითელი ლაშქარი არის ფარი საბჭოთ. ხელის უფლებისა და ამავე დროს თავზარდამცემი კაპიტალისტურ ქვეყნებისა და თუ ჩვენ ჩვენს რიგებში გვეყოლება არა კომუნისტური ელემენტები, რა თქმა უნდა, ისინი წითელ ლაშქარს ვერ შექმნიან და ნაცვლად შექმნისა, გახრწნი ან და დაშლიან, რის შედეგიც ლოღიკურათ დაკარგვაა შრომის ხელის უფლებისა, ვინაიდან არ გვეყოლება წითელი ლაშქარი, რის მეოხებითაც გვაქვს შრომის ხელის უფლება.

ამისათვის გვმართებს განსაკუთრებული ყურადღებით მოვეპყრათ ამ ფრიად სერიოზულ საქმეს და გავსწმინდოთ ჩვენი რიგები.

წმენდის დროს არავითარ ხათრს, ნათესაობას და ნაცნობობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი და ყოველივე უარყოფითი მხარეები ამა თუ იმ ამხანაგისა, უნდა იყოს აღიარებული. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მიზანს ვერ მივაღწევთ და მით უღალატებთ ჩვენ ჩვენსავე პრინციპს. აქვე უნდა გავაფრთხილოთ ამხანაგებო, რომ შემთხვევით არ ისარგებლოთ და პირადი ინტერესები არ ამოაფაროთ წმენდის ინტერესებს.

არც ჯგუფური ხასიათი უნდა ჰქონდესთ პიროვნებ-ს წინააღმდეგ, არამედ უნდა განვიმსჭვალოთ წმინდის იდეიით და ვიხელმძღვანელოთ ცენტრალურ გამწმენდ კომისიის მიერ გამომუშავებულ მოტივებით და კონკრეტიულათ უნდა აცნობოთ წერილობით გამწმენდ კომისიას, რომელიც დანიშნულია საქართვ. კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ გამწმენდ კომისიის მიერ.

ჩვენმა გენერალურმა წმენდამ უნდა დაამტკიცოს არა კომუნისტურ ელემენტებს, ე. ი. შემოპარულთ თბილ ადგილებისათვის, რომ არც ისე ადვილი და იაფი ყოფილა მაღალ წოდების სახელის ტარება, რასაც ეწოდება — რევოლიუციონერი კომუნისტი.

ეს სახელი მეტის-მეტად ძვირია და ამავე დროს მეტის მეტად საპასუხისმგებლო, რასაც არა კომუნისტური ელემენტები ვერ შეიფერებენ და ვერც შეასრულებენ, რისთვისაც უნდა გავყაროთ ზედმეტი ელემენტები ჩვენს რევ. რიგებიდან.

ამისათვის მოგიწოდებთ ყველა სამხ-კომებს, ბიურო-კოლექტივებს და კომუჯრედებს, ქმზადოთ გაწმენდისათვის და აგრეთვე ხელი შეუწყოთ ყველა პარტ-ამხანაგებს თავიანთ ავტო-ბიოგრაფიის შედგენაში.

ამავე დროს კი, არავითარ გადაყვან-გადმოყვანას ადგილი არ უნდა ჰქონდეს კომუჯრედებში, არ მივლინება-შევებულებებს, სანამ გამწმენდი კომისია ამის ნებას არ მოგცემსთ.

მაშ გაუმარჯოს ამ უკანასკნელ წმენდას და გაუმარჯოს სად. საქართველოს კომუნისტურ პარტიას.

გამწმენდ კომისიის წევრი
ვანო ჯაჯელავა.

## დღევანდელი ცნობები

— სტამბოლიდან მიღებულ ცნობების თანახმად მუდანის მოლაპარაკება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

— ყველა სახალხო კომისარიატებში სდგება კომისიები მექრთამეობასთან საბრძოლველად.

— დონეცის გუბერნიაში ითვლება 300.000 დამშეული.

## ახლო აღმოსავლეთის ამბები

**საბერძნეთის წინააღმდეგობა.**

პარიზიდან იტყობინებიან, რომ საბერძნეთის მთავრობას არ სურს მოახდინოს ფრაკიის ევაკუცია და ემზადება გაიწვიოს ჯარში 17—18 წლიანები გაზ. „კურიერა დელასერას" ცნობით საბერძნეთის სამხედრო მინისტრმა გამოაქვეყნა ბერძნებისადმი მიმართვა მოხალისეების ჩაწერის შესახებ.

**რუსეთი და ახლო აღმოსავლეთი.**

საბჭოთა მთავრობამ გადასწყვიტა დაიცვას რუსეთის ინტერესები ახლო — აღმოსავლეთის საკითხში „მოსკოვის იზვესტიები" ხელ ახლა აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია სრუტეების საკითხის გადაწყვეტა რუსეთის გარეშე.

**რომის პაპი და ანგორა.**

რომიდან მიღებულ ცნობების თანახმად პაპმა გაგზავნა სტამბოლში ქემალ-ფაშა თან მოსალაპარაკებლად ბუქარესტის ნუნციუა ბარმაგი. მოლაპარაკება შეეხება ოსმალეთში ქრისტიან მცხოვრებთა დაცვას და სამართლიან ზავის ჩამოგდებას.

## წითელ რესპუბლიკებში.

### რუსეთი.

**ბალტიის ფლოტი.**

— დიდიხნის დასვენების შემდეგ ბალტიის ფლოტის რამდენიმე სამხედრო გემი გაემგზავრა საზღვარგარეთ.

**გადასახადები.**

— უკანასკნელ 2 კვირის განმავლობაში სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები 21 პრ. მეტი შემოვიდა ვიდრე წინა კვირეებში.

**სასურსათო კომისარიატის მომარაგების გეგმა.**

— ამიერკავკასიის რესპუბლიკათა მომარაგებისათვის სასურსათო კომისარიატი სთვლის საჭიროთ ფონდის ამ გარიში გადადოს დამატებით 111 მილიონი ფუთი პური.

**საქონელი საზღვარგარეთიდან.**

— პეტროგრადის ნავთსადგურზე დამშეულთა და ხმარე მუშათა საერთაშორისო კომიტეტის სახელზე მოვიდა საზღვარგარეთიდან 600 ფუთი რძე და ქიმიკური პრეპარატები.

— ნიუ-იორკიდან მოვიდა გემი დატვირთული წიგნებით და ინსტრუმენტებით.

### უკრაინა

**ოქტომბრის დღესასწაული.**

— უკრაინაში სწარმოებს დიდი მზადება ოქტომბრის დღესასწაულისათვის. განზრახულია წინად უმოქმედობაში მყოფ მთელი რიგი წარმოებების ამუშავება და სასოფლო მეურნეობის ახალ კოლექტივების დაარსება.

## ჩვენი შემოქმედება

### წითელ-არმიელთა სიმღერა.

ბასრ მახვილით, ცეცხლის ალით, გმირულად!
გარდავიართ მინდორს, ტყეს, მთებს დახლართულს!
გზებს ეკლიანს გადავკაფავთ, მხედრულად...
მონობისგან გამოვიხსნით ხალხს ჩაგრულს!..

მაშვრალ ხალხის მჩაგვრელ-ბატონ მტერთათვის,
არვინ, არვინ დაიშურებს ბასრ შუბებს!
ჩვენ ვიბრძოლებთ მუდამ მაშვრალ ხალხისთვის!
მთელ მსოფლიოს მოუპოებთ უფლებებს.

მუშურ ღონით, მუშურ მაგარ მკლავებით
მაშვრალ ხალხის მტრებს შევბოჭავთ ჯაჭვებით!

ჩვენ მივდივართ, სისხლის წითელ დროშებით!
ჩვენ არა გვრწამს შავი, ბნელი წარსული...
სიკვდილი მათ, ვინც წინ გადაგვეღობებით!
უკვე მოსჩანს, ხედავთ, მხარე აღთქმული...

ვინც სისხლს გვწოვდა, ჩვენი სისხლით სძღებოდა,
იგი ეხლავ ჩვენივ ხელით მოკვდება...
და მათ ნაცვლად მუშა, გლეხი აღსდგება!
ქვეყნად შრომა, ძმობა, კვლავ გამეფდება...

მუშურ ღონით, მუშურ მაგარ მკლავებით,
მაშვრალ ხალხის მტერს შევბოჭავთ ჯაჭვებით!..

კაკი-ეწერელი.

### დაჰკრა საათმა...

დაჰკრა საათმა გამარჯვებისამ... პროლეტართ ლაშქარს
უძგერის გული
ბრძოლის წყურვილით გატაცებული წინ ილტვის
მედგრად გახარებული,
რომ სამუდამოთ აღმოფხვრას ყველგან დაჩაგრულთ
კლასზედ ბატონობანი
და იმ ნანგრევზედ მისცეს გზა ფართო შრომის
სამეფოს ასაგებანი.

ვანო ჯეჯელავა.

## ჩვენს წითელ ჯარში



### შორს ასეთი ექიმები ჩვენს რიგებიდან.

მე-2-ე საარტ. დივიზიონის პოლიტ-გან. კომისრის ინიციატივით, დივიზიონში გამოდის ყოველ კვირეული კედლის გაზეთი: „წითელი მომიზნე" რომლის უკანასკნელ ნომერში იყო მოთავსებული წერილი დივიზიონის უფროს ექიმ პაშიკოვის შესახებ რომელშიაც აღნიშნული იყო ექიმის დაუდევრობა, რომელიც იმის მაგივრად, რომ თავის თანამშრომლებს მაკალითს უჩვენებდეს და აძლევდეს სათანადო დახმარებას, ფეხსაც არ დგამს ქსენონში თორმეტ საათამდი, რითაც წითელ არმიელებს უხდებოდათ ცდა წამლების მიღებისათვის. პ—ნი ექიმი კი ნახევარჯერ თბილისში ბრძანდება და ნახევარჯერ კი სოფლებში, როგორც სჩანს ძალზე გაუტკბა ერბო კვერცხები და ქათმები, რომლებსაც იღებს სოფლელებიდან და ამისათვის არის რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევს არც არმიელების ჩივილს და არც მისი დეფექტებზე წერას თითქოს არც კი წაუკითხავსო და როცა მიუტანეს ამბავი რომ შენზედ ვიღაც წითელ არმიელს წერილი დაუწერიაო გაუცინია და უთქვამს: „плеваль я на таких писем"-ო. რა თქმა უნდა თუ მას მეტს არასოდეს ეტყვიან ისიც დასჯერდება ამ შენიშვნას და ისევ განაგრძობს სოფლებში სიარულს და ყველეფას სოფლელებისას დროა ბოლო მოეღოს ასეთ უსამართლობას პ—ნ. ექიმისაგან.

ალიკო.

### სპორტი სამუსწავლო ცხენოსან ესკადრონში

15 ღვინობისთვეს დანიშნულმა ხტომებმა (скачки) უკვე გამოიწვიეს დიდი ინტერესი, სამოსწავლო ცხენოსან ესკადრონში. გაფაციცებით ემზადებიან 1 ხტომებისათვის. სამაგალითოდ უვლიან ცხენებს, ავადმყოფობისაგან არჩენენ და საჭმელს აძლევენ გამოზომილად, ვინაიდან ნამეტანი გასუქებაც დაამძიმებს ცხენებს და ხტომებში ვერ იქნებიან ისე ყოჩაღათ. როგორც წ.-არმიელთა გაწრთვნას, ისე ცხენების მოვლას და გახედნას ხელმძღვანელობს ამხ. ციციშვილი. ხტომებისათვის გამოსადეგათ უკვე გამზადებულია 33 ცხენი. ეს რიცხვი მოსალოდნელია ერთი ორად გადიდდეს, აქვე უნდა ავღნიშნოთ რომ, ამხ. ციციშვილი ესკადრონის კომისიებშია ჩაბმული, რომელიც ბევრ დროს ანდომებს, სასურველია მისი დრო არ იხარჯებოდეს კომისიებში მუშაობით, არამედ ხმარდებოდეს სასპორტო მუშაობას.

რ. ა.

### ყოჩაღ თ მუშაობენ.

5 ოქტომბერს საინჟინერო ათასეულის სასწავლო ჯგუფში შესდგა წით. არმიელთა საერთო კრება. პოლიტხელ. ამხ. გ ნუცუბიძის მეთაურობით თავმჯდომარეთ აირჩიეულ იქმნა ამხ. არევაძე, მდივნად—ამხ. არზუმანოვი. დღის წესრიგში იყო შემდეგი კითხვები: 1) საგანმანათლებლო კომისიის ამორჩევა. 2)სა-...

## მუშათა მთლიანი ფრონტის გამაგრება და პარტიული გადაჯგუფება.

მას შემდეგ, რაც მსოფლიო ბურჟუაზიამ ყველა სახელმწიფოში შესძლო, სოციალ-შემთანხმებელთა უერთგულესი დახმარებით, რევოლ. პროლეტარიატის მოძრაობის სისხლის მორევში ჩახშობა, დამყარდა ერთგვარი სიმშვიდე რევოლიუციონურ ფრონტზე. მრავალ ჯერ ზედი-ზედ რევოლიუციონურ გამოსვლებში, ძალა უფლების აღებისათვის დროებით დამარცხებული პროლეტარულ რიგებში ბრძოლის ხალისი მინელდა. დროებით გამარჯვებულ ბურჟუაზიის ვაკხანალიის დროს, როდესაც კომუნისტებს თითქმის სრულიად მოუსპეს მუშაობის უფლება, სოციალ-გამცემლებმა იდროვეს და თავიანთი პარტიული მუშაობა გააცხოველეს. მუშებს მოუწოდებდნენ მთლიან ფრონტისაკენ (რასაკვირველია ბურჟუაზიასთან ერთად) და კომუნისტებს კი უწოდებდნენ მუშათა კლასის გამთიშველებს, რადგან ისინი პროლეტარულ პარტიიდან შეუბრალებლად სცოცხავდნენ წვრილ ბურჟუაზიის იდეოლოგიით გაჟღენთილებს.

დაახლოებით 1920 წლის პირველ ხანებში მუშათა კლასში შესჩანურმე სულისკვეთებამ სძლია, სოციალ-გამცემელთა ანკესზე ბევრი წამოეგო და მათ მოღალატურ ტკბილ დაპირებებს, ბევრმა დაუჯერა.

მსოფლიო ბურჟუაზიამ ისარგებლა შედარებითი მშვიდობიანი მდგომარეობით, მუშათა მასსების ინდიფერენტული განწყობილებით რევოლიუციონურ გამოსვლებისადმი და შეუდგა შეტევითი პოლიტიკის წარმოებას, მუშათა პოლიტიკური და ეკონომიური მოპოვებულ უფლებათა ჩამორთმევის სახით, თავისი ეკონომიური ბატონობის გახანგრძლივებისათვის.

ბურჟუაზიის მეტი საშუალება არა აქვს თავისი, კატასტროფიულ მდგომარეობაში მყოფი ეკონომიურის სახსნელად თუ შეტევითი პოლიტიკა არ აწარმოვა მუშათა კლასის წინააღმდეგ. მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობა, მსოფლიო, ეკონომიკის საშინელ კრიზისის დროს, აუტანელი იყო და კაპიტალის შეტევაზე გადასვლამ კიდევ უფრო გააუარესა. მუშათა კლასს შეუმცირეს სამუშაო ქირა და გაუდიდეს სამუშაო დღე, ამ პოლიტიკის ცხოვრებაში კანონიერათ გატარების მიზნით ბურჟუაზიულ სახელმწიფოების მთავრობებმა ეს დადგენილება გაატარეს და დაამტკიცეს თავიანთ პარლამენტებში და დამფუძნებელ კრებებში. იქვე სხვათა შორის დააკანონეს რომ მუშათა პროფესიონალურ ორგანიზაციებმა არსებულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივობის წინააღმდეგ არავითარი ბრძოლა არ აწარმოონ; მის წინააღმდეგ არ მისცეს უფლება ხმის ამოღებისაც კი ასეთი დადგენილების მომხრე იყვნენ პარლამენტში ყველა სოციალისტებიც, რადგან ისინი არსებულ ბურჟუაზიულ ურთიერთობის ძირიანად გარდაქმნის მომხრე არ არიან. ისინი ამბობენ რომ სოციალისტური გადატრიალება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც დამყარდება ნორმალური მშვიდობიანი ეკონომიური ურთიერთობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის და შეიქმნება გაცვლებით მეტი საქონელი ვიდრე ამისი მოთხოვნილება იქნება მსოფლიო ბაზარზე (перепроизводство товаров). კომუნისტები კი ებრძვიან არსებულ კაპიტალისტურ ურთიერთობას, როგორც პარლამენტებში, ისე იარაღით ხელში ბარიკადებზე. კომუნისტები აღნიშნავენ არსებულ კაპიტალისტურ სინამდვილის მდგომარეობას და ამბობენ, რომ 1914 წ. მსოფლიო იმპერიალისტური ომი მოხდა იმისთვის, რომ ყველა კაპიტალისტურ გიგანტიურ სახელმწიფოებში, ეკონომიკის ჩქარესად განვითარების გამო, მოხდა საქონლის გამრავლება (перепроизводство товаров), რომელიც მეტათ საგრძნობლათ აღემატებოდა თავიანთ ბაზრების მოთხოვნილებას. ამისთვის საჭირო იყო ახალი ბაზრების შოვნა. მთელი მსოფლიო განაწილებული იყო მათ შორის ეკონომიური გავლენის გავრცელების მიზნით და რადგან ახალი თავისუფალი ბაზარი არ მოიპოებოდა, ამისთვის იძულებული იყვნენ ერთიმეორესათვის იარაღით წაერთმიათ ბაზრები. ყოველი სახელმწიფოს ბურჟუაზია თავის ეკონომიურ პრივილეგიებს თავის ბაზრებში ნებით არავის არ დაუთმობდა და ამისთვის ნაციონალურ ბურჟუაზიების ინტერესთა წინააღმდეგობანი უთუოდ იარაღით უნდა გადაჭრილიყო. მოხდა ომი, მაგრამ მან არა თუ შესძლო დამარცხებულთა შორის მშვიდობიანი განაწილება, არამედ ინტერესთა წინააღმდეგობა კიდევ უფრო მწვავედ დააყენა. მსოფლიოში ეკონომიურ გეგემონიის მოპოებისათვის ამერიკა, ინგლისი და სხვანი სამხედრო მზადებას შეუდგნენ!

ჩვენ ეხლა ვდგევართ მოსალოდნელ ახალ მსოფლიო ომის წინაშე, რომელიც თავისი შედეგებით გაცილებით უფრო გამანადგურებელი იქნება ქვეყნისა ვიდრე ახსოვს აქამდე ისტორიას. ასეთი ომები პერმანენტულ ხასიათს მიიღებენ კაპიტალისტური წარმოების ტეხნიკის უაღრესათ განვითარების გავლენის გამო, ბურჟუაზიული მეთოდი სახელმწიფოებს შორის ეკონომიური ურთიერთობის დამყარებისა მშვიდობიან მდგომარეობიდან გადაიქცა გამანადგურებელ იმპერიალისტურ ომების პერიოდში. თანამედროვე პირობებში კაპიტალისტური ურთიერთობა გადაიქცა უარყოფით მოვლენათ და ყოველი საზოგადოებრივი ფორმა, რომელიც ხელის შემშლელათ გადაიქცევა წარმოების განვითარებისათვის ის აუცილებლათ, დიალექტიური მატერია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კორის ამორჩევა და 3) მიმდინარე კითხვები. საგანმანათლებლო კომისიაში ამორჩეულ იქმნენ: **ვ. ნეფარიშვილი, მნ. არზუმანოვი** და **მ. ციუმა.** კომისიას დაევალა, რათა სამოსწავლო ჯგუფს ყოველ დღიურათ მიაწოდოს გაზეთები. სამხკორათ ამორჩეულ იქმნა **ვ. ნეფარიშვილი.** შემდეგ მიმდინარე საკითხებზე მოკლე მოხსენება გააკეთა გაზეთებიდან ამხ. **ნუცუბიძემ** ოსმალეთ-საბერძნეთის ომის შესახებ. ამის შემდეგ თვით წითელ არმიელებიდან წამოყენებულ იქმნა კითხვები პირადობის მოწმობების უქონლობის გამო, აგრეთვე საცვლების უქონლობაზე, აბანოს შესახებ და სხვა. ყველა ეს დაევალა ამხ. **ნუცუბიძეს**, რომ მან, სადაც ჯერ არს, მოახსენოს. ამის შემდეგ კრება დაიშალა.

**ვ. სევდიშვილი.**

## ყველამ მივბაძოთ ჩვენს ღირსეულ მეთაურებს.

1-ლი ლეგიონის კომისარმა ამხ. ენუქიძემ ენერგიულათ მოკიდა ხელი მუშაობას, რაიც არ შეგვიძლია არ ავღნიშნოთ. ის სათითაოთ ეკითხება წითელ არმიელებს ვის რა გულის ტკივილი აქვს.

წინად ქონდა ადგილი შემდეგ შემთხვევებს, რომ ზოგი ამხ. წითელ არმიელებს, არ ქონდა სამი თვის ჯამაგირი მიღებული. დღეს ესენი ყველა მოწესრიგებულია. საქმე მშვენივრად მიყავს რითაც წითელი არმიელები მადლობელი არიან. მასთან შტაბის უფროსი ამხ. კოტოიანცი, მართლაც გულ დასმით ეკიდება ლეგიონის აღმშენებლობის საქმების. ის დილიდან საღამომდის მუშაობს.

ჩვენ ვუსურვებთ, რომ ყველა ჩვენი ლეგიონის თანამშრომლებმა მიჰბაძონ ამ ამხანაგების ერთგული საქმიანობას რათა ჩვენი ლეგიონის შტაბში ამოიფხვრას მუსაქმონი და ზარმაცობას კი სამუდამოთ მოეღოს ბოლო ლეგიონში.

**უ. ქ. ზარქუა..**

## კლუბის მოწყობისთვის ხელს გვიშლიან.

საინჟათასეულის წ.-არმიელები უკვე სამი კვირაა რაც ჩამოვედით მანგლისიდან და ვერ ვიღირსეთ ჯერ ჯეროვნით ჩვენი ათასეულის კლუბის მოწყობას ვინაიდან ხელის შემშლელი ამაში არის ამხ. ბუკია. მას კლუბიდან გადუტანია „სკამეიკები". რის გამოც ჩვენ წ. არმ. მოკლებული ვართ კლუბის მუშაობას და იმ განვითარებასა, რაიც წარმოსდგება კლუბის მუშაობიდან. ერთხელ კიდევ გაზეთის საშუალებით მოგმართავთ თქვენ, ამხ. ბუკია, რომ წაღებული „სკამეიკები" დაგვიბრუნოთ რათა შეძლება გვქონდეს ჩვენივე ძალით მოვაგვაროთ ის მუშაობა კლუბის შესახებ რომელშიაც ყველა წ.-არმ. დაინტერესებულია.

**ხელთუბნელი**

## შეფიც ასეთი უნდა.

ამის წინათ ბათომის მცველ-მხლებთა რაზმის შეფობა იკისრა სანაპირო მუშების არტილმა რომელმაც პირველ დაწყებიდანვე გაორკეცებული და, საუცხოვო ენერგიული ზომები მიიღო ჩვენი ყოფა ცხოვრების უზრუნველ საყოფათ. მათ ჩვენი ულუფის გასაუმჯობესებლად გადასდო 70,000,000 მან.

ის აგრეთვე ჩვენ სამკითხველოს აწვდის გაზეთებს.

გარდა ამისა, ჩვენმა შეფმა აღგვითქვა კიდევ ხუთ ფუთამდე საძირე ტყავის მოცემა.

და რაზმში კოოპერატივის გახსნა.

რომელიც მოწმობს იმას, რომ მომავალში ჩვენი შეფი, უფრო ენერგიულ ზომებს მიიღებს, ჩვენი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

და ხელს შეუწყობს ჩვენ რაზმის გაძლიერებას.

**წ.-არმ. გიორგი ნოღელი.**

# პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

## გურიის რკინის გზა.

წელს გურიის მშრომელმა გლეხ-კაცობა ამხ. გრ. სარჯველაძის ინიციატორობით შეუდგა ოზურგეთ-ნატანების რკინის გზის შტოს გაყვანას, მიუხედავათ გურიის ცუდ ეკონომიურ პირობების და მასთან ბუნების სტიქიით გურიის აოხრებისა, მისი მშრომელი ხალხი ერთ წუთსათ არ ჩაფიქრებულა და მეტის ენერგიით შეუდგა საქმეს.

ჯერ კიდევ მეფის და, მერმედ მენშევიკების სამი წლის ბატონობის დროს, ეს საკითხი აუცილებელ საკითხათ იყო წამოყენებული, მაგრამ ის მოკლებული იყო ხალხის სრულ უფლებიანობას და ყველა გურიის გამოჩენილი პოდრადჩიკ-კულაკები ამ საქმეს შეყურებდენ არა საზოგადოებრივ თვალსაზრისით არამედ მოგების და ექსპლოტაციის მხრივ, რის გამოც ეს საკითხი რჩებოდა უყურადღებოთ, გავიდა დრო, მშრომელი ხალხი თვით გახდა თავისი თავის ბატონ-პატრონი, და აი კიდეც თვითონ მოკიდა ხელი აღმშენებლობის საქმეს, მან წამოაყენა საკითხათ, რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ ოზურგეთ-ნატანებს შორის და საკუთარი ძალებით შეუდგა მის განხორციელებას. რა თქმა უნდა გურიის მშრომელი გლეხკაცობა დარწმუნებული იყო, რომ მისი აღმშენებლობითი ფრონტზედ მარტო არ დარჩებოდა და მას ამოუდგებოდა გვერდში მთელი მშრომელი ხალხი, რაც არც მოსტყუვდა ამ შემთხვევაში. ჩვენ ვკითხულობთ ჟურნალ გაზეთებში, რომ მას უწევენ დახმარებას მუშათა სხვა და სხვა წრეები და მილიარდობით უგზავნიან შემოწირულებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს უთუოდ. ჩვენ გვგონია რომ, წითელი ლაშქარიც არ ჩამორჩება ამ საერთო საქმეს და შეძლების დაგვარათ ხელს შეუწყობს ამ საქმეში გურიის გლეხ-კაცობას. სრულიად არ უნდა დავიშუროთ ორიოდე გროში ამ საქმისათვის. უნდა დავამტკიცოთ რომ ჩვენი წითელ არმიელები მშრომელ ხალხთან ვართ ერთად ჭირში თუ ლხინში როგორც ბრძოლის ისე ეკონომიურ ფრონტზედაც.

ამისათვის ჩვენმა ნაწილებმა დღესვე უნდა შეუდგან შემოწირულებების შეგროვებას და დაეხმარონ გურიის გლეხკაცობას. მე მგონია ეს უნდა იკისროს საქართველოს წითელი ლაშქარის ორგანომ გაზ. „წითელ არმიელმა" მოუწოდოს მან ყველა ნაწილებს, დაწესებულებებს და სამხედრო სამმართველოებს მოაწყონ დამხმარე კომიტეტები, რომლებიც წარმოდგენა საღამოების გამართვით შეაგროვებენ თავის წვლილს და გურიის გლეხკაცობის წინაშე მოიხდიან თავიანთ ამხანაგურ მოვალეობას, ჩვენ კი როგორც წითელი არმიელები ისე უფრ. შემადგენლობა მზათ ვიქნებით ფხიზლათ შევხვდეთ ამ საქმეს.

ამხ. წითელ არმიელებო უფრ-შემადგენლობავ და თანამშრომლებო, მოვიხადოთ ჩვენი ვალი მშრომელი გურიის გლეხკაცობის წინაშე და დავუმტკიცოთ მათ, რომ ჩვენ, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიურ ფრონტზედ მათთან ერთად ვართ განუყრელად.

ეს ჩვენი ამხანაგური ვალია.*)

**გოგიტო ციმბირელი (გრ. კობიძე.)**

*) ვთხოვთ გაზ. „კომუნისტს" და ბათუმის „ახალ ბრძოლას" გადაბეჭდოს ეს წერილი.

ავტორი.

**ამხანაგო წ. არმიელებო! ებრძოლეთ თქვენ რიგებში, პროვოკაციას და დეზერტირობას.**

ლიზმის ურყევი კანონების მიხედვით, უნდა შეცვლილ იქმნას უფრო პროგრესიულ საზოგადოებრივ ურთიერთობის ფორმად. თანამედროვე მდგომარეობისათვის შემდეგი განვითარებული ფორმა ეკონომიური ურთიერთობისათვის არის სოციალიზმი. ამ გარდამავალ ხანის დამყარებისათვის საჭიროა, რომ სახელმწიფოებრივი ძალა უფლება დაიპყროს მომავალი ცხოვრების კანონიერმა მესაქმემ პროლეტარიატმა. უნდა დამყარდეს პროლეტარიატის დიქტატურა საბჭოთა რესპუბლიკების ფორმების სახით. ეს არის ცხოვრებისაგან ნაბრძანები აუცილებლობა. ვინც ამის წინააღმდეგ იბრძვის ტყუილა ახანგრძლივებს პროლეტარიატის ხელში ძალა უფლების გადასვლის უკანასკნელ მომენტს.

აი ასეთი ეკონომიური ცხოვრების ანალიზის შედეგია კომუნისტური პარტიის ტაქტიკა.

როგორც ზევით აღვნიშნეთ კაპიტალი შეტევაზე გადავიდა მუშათა კლასის წინააღმდეგ, რასაც უნდა გამოეწვია მუშათა კლასის მხრივ შესაფერი რეაქცია. მართლაც მუშათა კლასმა, განურჩევლათ მიმართულებისა, ეკონომიურ შექმნილ მდგომარეობის გამო, შეერთებული ძალით სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია ბურჟუაზიას ეკონომიური და პოლიტიკური უფლებების წართმევისათვის. ამ რევოლიუციონურ ხასიათის გაფიცვებმა ახალი ენერგია შთაბერა მუშათა კლასს, პროლეტარულ რევოლიუციის სამზადისათვის. კომუნისტურ ინტერნაციონალმა მოუწოდა მსოფლიო პროლეტარიატს მუშათა მთლიანი ფრონტის შესაქმნელათ, კაპიტალის შემოტევისაგან დაცვისთვის. ამ ლოზუნგის გარშემო შემოკრბა ნელი-ნელ მუშათა კლასი. მემარჯვენე სოციალისტებმა შეხედეს, რომ მუშათა კლასი თანდათან გამოეცალათ ხელიდან და მათაც მოუწოდეს მუშათა მთლიანი ფრონტისაკენ. ამ ლოზუნგის ცხოვრებაში პრაქტიკულად გატარების მიზნით შეიკრიბა სამივე ინტერნაციონალთა წარმომადგენლები (მეორე, — ორნახევარი და მესამე) ბერლინში, სადაც მიაღწიეს ვითომ ერთგვარ მინიმუმ საერთო შეთანხმებულ ბრძოლის დებულებებს, მაგრამ მეორე დღესვე ასწონ-დასწონა მეორე და ორნახევარი ინტერნაციონალმა აღნიშნული დებულებები და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყოველგვარი ბრძოლა მუშათა კლასის მიერ არსებულ ურთიერთობის წინააღმდეგ უთუოდ მიგვიყვანს რევოლიუციამდისო და ამისათვის აშკარად უარყვეს შეთანხმებანი და თავიანთი მთავრობების დახმარებით დაიწყეს სასტიკი ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ. სხვათა შორის მემარჯვენე სოციალისტების ტაქტიკის ცხოვრებაში დიპლომატიურათ გამტარებლებმა იტალიელმა ტურატიმ და დარაგონამ აშკარად განაცხადეს ეხლა:

„ჩვენ შეგნებულათ შევუშალეთ ხელი რევოლიუციის განვითარებას და არაფერი გვაქვს საერთო რევოლიუციონურ სოციალისტებთან, რადგან ჩვენ ვართ რეფორმისტები." ამგვარი შინაარსის მატარებელია საერთაშორისო მენშევიზმი, მაგრამ თავის, მუშათა კლასის მიმართ, მოღალატურ პოლიტიკას რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიაში მალავს.

ცხოვრებამ მე-2 და ორ ნახევარ ინტერნაციონალის ვითომდა განსხვავებული ტაქტიკა სრულიად წარხოცა. დაიწყო ამ ორ ინტერნაციონალში არსებულ პარტიების ორგანიული გაერთიანება. პირველი ნაბიჯი გადადგა გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა და დამოუკიდებელ სოციალისტურმა პარტიებმა. ისინი უკვე გაერთიანდენ მთლიან სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში. ცხოვრება უკარნახებს მე-2 და ორ ნახევარ ინტერნაციონალებს ორგანიულათ შეერთდენ და მუშათა მოძრაობაში დაუპირდაპირდენ გაერთიანებული ყვითელი ინტერნაციონალები და კომინტერნი, ისე როგორც ფაქტიურათ არიან ეხლა დაპირისპირებულნი.

დაუპირდაპირდენ ერთი მეორეს მუშათა მოძრაობაში წვრილ ბურჟუაზიის ინტერესების დამცველნი და კაპიტალის ყურმოჭრილი მონები ყვითელი ინტერნაციონალი და რევოლიუციონურ პროლეტარიატის ერთგული ავანგარდი კომინტერნი.

თვალთმაქცური რევოლიუციონური ფრაზეოლოგიის ხანამ განვლო და ეხლა უკვე აშკარათ გამოდიან მზის სინათლეზე ყოველი პოლიტიკური მიმართულებანი, რაც უდიდესი მნიშვნელოვანია პროლეტარიატის კლასიური თვითშეგნებისათვის. გერმანიაში რევოლიუციონური ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტების გამრავლება იმის დამამტკიცებელია, რომ მუშათა კლასის ქვედა ფენები უკვე კომუნისტური პარტიის გავლენის ქვეშ იმყოფებიან, მუშათა მთლიანი ფრონტი იქნება ყველგან კომუნისტების ხელმძღვანელობით. ეკონომიური კრიზისის კატასტროფიული გაღრმავება მუშათა კლასის გაერთიანებას იწვევს ყოველ სახელმწიფოში და რევოლიუციონური გაფიცვები, რომელნიც ყველგან დღითი დღე გრანდიოზულ ხასიათს ღებულობს, აჩქარებს მომენტს პროლეტარულ რევოლიუციის პრაქტიკულათ დაწყებისას.

დადგა აგრეთვე მომენტი, როდესაც მსოფლიო ბურჟუაზიამ ბაზრებისა და სრუტების საკითხი პაქტიკულათ უნდა გადაჭრან. ინტერესთა წინააღმდეგობა ისეთი ღრმა არის, რომ მისი გადაჭრა მშვიდობიანი გზით ყოვლად შეუძლებელია და ომის საშუალებისათვის მიმართვა კი, უებარი საშუალებაა კაპიტალიზმის თვითმკვლელობისათვის. კაპიტალიზმმა უთუოდ თვითმკვლელობა უნდა მოახდინოს ისტორიული აუცილებლობის მიხედვით.

მსოფლიო პროლეტარიატი უკვე ერთიანდება ყველგან აქტიური გამოსვლებისათვის, რომ უკანასკნელი ლახვარი ჩასცეს კაპიტალის ბატონობას. გადამწყვეტი მომენტი ახლოვდება. მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას მკიდროთ მივუახლოვდით.

პ. ხ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კოოპერაცია.

## კოოპერაციის შესახებ ჩვენს ჯარში

(მოხსენება საინჟინერო ათასეულის კომუჯრედის ღია კრებაზე ე. გოგოლაძის მიერ გაკეთებული).

(გაგრძელება)

ასეთნაირ შეკავშირებას ხელს უწყობდა სულ ყველა მშრომელთათვის საერთო ინტერესების დაცვა, რომ მას თავი დაეღწია ეკონომიურ უთანასწორობისაგან.

ამ ნაირი შრომის საკითხის მოსაგვარებლად მებრძოლ პარტიამ მოაწყო მეორე აპარატი, მეორე ფორმა მშრომელთა განთავისუფლებლათ. ეს, მეორე აპარატია ეგრედ წოდებული პროფესიონალური კავშირი. მისი მიზანია საბოლოოთ დაეპატრონოს სულ ყველა ფაბრიკა-ქარხნებს; ამ მიზნის მისაღწევი იარაღი იყო გაფიცვა (ვამბობ—იყო, რადგანაც მას აქეთ 1917 წლის ოქტომბრიდან, რაც მუშა ხალხმა გაიმარჯვა თავის კლასიურ მტერზე და პოლიტიკური ხელმძღვანელობა ხელში ჩაიგდო, მისი ბრძოლის არაღია არა გაფიცვა, ვინაიდან ეს ხომ თავისთავის წინააღმდეგი მოქმედება იქნებოდა. ის იბრძვის ახლა წარმოების გასაძლიერებლათ, მისი განთავისუფლებლათ, ისევ მისდა სასარგებლოთ, მშრომელთა საჭიროების დასაკმაყოფილებლათ). ის დაეპატრონება თვით ფაბრიკა-ქარხნებს. ის მოკიდებს ხელს ყოველნაირ განძის შესაქმნელ მასალას და ამნაირად განა ორციელებს უფლებრივათ იმას, რაც ფაქტიურათ არის და მისია,—საწარმოვო იარაღი.

როგორც ნათქვამიდან ჩანს კომპარტიული მისწრაფებათა გარშემო გროვდება ის ნაწილი მშრომელი ხალხისა, რომლის მამოძრავებელი მიზეზია არა ეკონომიური მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება, არა დღევანდელი და გარდამავალი მიზნები. პარტიისათვის საკმარისი არ არის ყოველივე ის, რითაც ხშირათ კმაყოფილია პროფესიონალური კავშირი. კომპარტია ისახავს შორეულ-უკანასკნელ მიზანს შრომის არსებული ფორმის გარდასაქმნელად და ამისათვის ის მიმართავს პირდაპირ ბრძოლას მტრებთან, თუნდაც ამას უშუალოთ არ მოსდევდეს ეკონომიური გაუმჯობესება: ის იბრძვის ჯერ პოლიტიკური გამარჯვებისათვის.

სულ სხვაა პროფკავშირი. მას ამოძრავებს ეკონომიური მხარე მოთხოვნილებების. ის პოლიტიკური გამარჯვებისათვის დამოუკიდებელ ბრძოლას არ ეწევა. ამიტომ მასში შედის ის ნაწილი მშრომელთა, რომელსაც ნაკლებათ აქვს გათვალისწინებული ეკონომიურათ გამარჯვების შეუძლებლობა იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური ძალა უფლება. მის კლასიური მოპირდაპირეს ხელშია. ამიტომ არის პროფ.-კავშირი მეორე ფორმა კლასიური ბრძოლის,—პარტიულის შემდეგ.

(შემდეგი იქნება.)

# ოფიციალური განყოფილება

## ცირკულიარი № 20

**ქართული დივიზიის პოლიტგანყოფილებისა.**

ქ. თბილისი.

**საბჭოთა სექციების ლიკვიდაციის შესახებ.**

მიწურულ ზაფხულის განმავლობაში, როდესაც ჩვენი ნაწილები დაბანაკებულნი იყვნენ საგარაკოთ სოფლებში, სადაც წითელ არმიელებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის საჭირო იყო ერთგვარი დამოკიდებულება ურთიერთი დახმარების მიზნით საბჭოთა სექციებმა დიდი როლი ითამაშეს. გარდა იდეიური დახმარებისა ადგილობრივ საბჭოთა ორგანოების განმტკიცების საქმეში, მათ არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვით გაპარტახებულ სოფლის მეურნეობის აღდგენაში.

ამ ჟამად ნაწილები ბრუნდებიან თავიანთ საზამთრო ბინებში და ცხადია ასეთი ფართო მასშტაბით მუშაობა არაა მოსალოდნელი:

ამის და მიუხედავათ წინაუადება გეძლევათ ამის მიღებისთანავე საბჭოთა სექციების ლიკვიდაცია (ხოლო ლიკვიდაცია ისე კი არ უნდა იქნეს გაგებული რომ ამ დარგში მუშაობა მთლად მოსპობილი უნდა იქნეს. ამ სფეროში მუშაობა უნდა განისაზღვრებოდეს ქვემო აღნიშნულ დებულებებში:)

1. გაერთიანება სამხედრო დელეგატებისა საბჭოებში და აღმასკომებში, მათი ხელმძღვანელობა, მათი საშუალებით საჭირბოროტო საკითხების წამოყენება საბჭოს და აღმასკომების სხდომებზე (პირობების გაუმჯობესობა, შეფების დახმარება საუზრუნველო დეკრეტების ცხოვრებაში და სხ.)

2. კავშირის აღდგენა წით. არმიელებსა და ადგილობრივ მცხოვრებლებს შორის, საერთო კრებების მოწყობის კომპანიების და დღესასწაულების გზით.

3. გაცნობა წითელ—არმიელებისათვის ადგილობრივ საბჭოთა ორგანიზაციების მიერ გატარებულ ამა თუ იმ მნიშვნელოვან ზომებისადმი. დასმა მოხსენებისა სამხედრო დელეგატების (საბჭ.) მიერ.

4. მოწყობა შეძლების დაგვარად საერთო შრომის პროცესებისა და მუშაობით დახმარება მცხოვრებლებს.

5. საერთო—პოლიტგანმანათლებელი და პარტ—მუშაობა.

6. კავშირის შენახვა დემობილიზაციით წასულ წითელ არმიელებთან.

7. დახმარება წით. არმიელებს გამოურკვეველ და უკანონო მოქმედების თავიდან ასაცილებლად ზოგიერთ საბჭოთა ორგანიზაციების მიერ მათ ოჯახებისადმი და სხ.

აღნიშნული მუშაობა შეადგენს პარტ—მუშაობის ერთი ნაწილს და საჭიროა, როგორც საბჭ. სექციების დროს ჩაბმულნი იქნენ ამ საქმეში, როგორც ფართო მასა აგრეთვე მოწინავე უპარტიო ამხანაგებთაგანი.

უშუალოთ მუშაობა ამ დარგში ევალება ბიუროს ერთ—ერთ წევრთაგანს.

პოლიტგანყოფილების უფროსი: **გობეჯიშვილი.**

საორგანიზაციო ნაწილის უფროსი: **მარკაროვი.**

## დამატება ცირკულიარისა № 19

ა. წ. 6 ოქტომბრიდან.

დამატებით ცირკულიარისა № 19 („წ-არმიელის“ №112-ში) გაცნობებთ, რომ ყოველივე გადაყვანა ნაწილიდან ნაწილში პარტ-ამხანაგებისა, აგრეთვე კომანდიროვკა და სხვა ასეთები უნდა შეჩერებულ იქნეს პარტიის წმენდის პერიოდში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამის შესახებ არის განკარგულება პოლიტგანყოფილებისა.

პოლიტგანყოფილების უფროსი **გობეჯიშვილი.**

საორგანიზაციო ნაწ. უფროსი **მარკაროვი.**




### არტდივი ბათომში

ზარმაცობა სამხკორთა
აქ ვინ შემოურია?
ნუ თუ მიტომ, რომ მათგან
იტკეპნება ნორია?

ბარცხა იდან ბულვარზე
უსაქმო ხიარული,
„გოროდოკის“ გაზოვ
და მზერა ხიარული...

„ზელიონი მისზე“ თუ,
ვითა მწვანობს ფოთოლი
და პაროჩკების ნავი
ზღვაზე მცური ობოლი...

არა კმარა ასეთი
გაშტერებით ყურება,
თორემ თქვენი წერილი
გაზეთს მოეწყურება...

საჭიროა „ფორტებით“
ახალი სიმღერები
და წითელ არმიელთა
ცხოვრების დაზვერვები..

გამუქება ყოველთვის
ბათომში თუ რა ხდება
თორემ ჩვენი ყუმბარის
მანდ მუქარა ახდება.

**დაშნა.**

### მე-3-მე ლეგ. № ათას. პოლიტხელებს.

ჩვენი პოლიტხელები
„კარგსა“ საქმეს სჩადიან,
გაზეთების მაგივრად
არშიყობა სწადიან.

მათ გაზეთი, არ მოაქვთ,
წითელ—არმიელისთვის
(მე ენა დამელალოს,
რომ წაელო იმისთვის).

ეხლა მეც დავეთხოვე,
(რაც უთხარი მეტია)
ამდენ უსამართლობით
თავს მეხვევა რეტია.

**მ. საწერეს-პირელი.**

### ჩვენი ფოსტა.

**მეორე ლეგიონის და პირველ არტდივის სამხკორებს.**

თქვენი ნაწილების ცხოვრებიდან რედაქციას არავითარი ცნობები არ მოსდის, რაიც მიუტევებელი დანაშაულია თქვენის მხრივ.

გამოგზავნეთ ხშირად და სისტემატიურათ.

**მეხს.**—საჩქაროთ შემოიარეთ რედაქციაში.

**გეოს**—თქვენი ლექსი **„ბეჯითობა“** კერძო ხასიათისაა, არ დაიბეჭდება.

# განცხადებები

### დაკარგე

სასწავლებლის მოწმობა მოცემული ქ. ქუთაისის მასწავ. გიმნაზიის მიერ № 361 გიორგი ლუკას ძე ჩხენკელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

### დაკარგე

ყარაიაზს და თბილისს შუა საფულე სხვა და სხვა დოკუმენტებით, მათ შორის: დროებითი პარტ. ბილეთი № 175, იარაღის ტარების ნებართვა № 365, პირადობის მოწმობა № 1467 და სასოფლო-სამეურნ. სასწავლებლის გათავების მოწმობა შალვა ნამგალაძის სახელზე, ყველა ჩამოთვლილი დოკუმენტები ჩაითვალოს გაუქმებულად.

### დაკარგე

თბილისის საბჭოს მოწმობა № 40 გიორგი ილიკოს ძე ბერიძის სახელობაზე, პოლიტ-პროსვ. კომისიის მოწმობა და სხვა საბუთები. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

### დაკარგე

ბრიგადის პოლიტბიუროდან მოცემული უვადო შვებულების ბარათი № 151 ლევანტი დიანოსის ძე გაბისონიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნება დართულია სამხ. ცენზ. პას.-მგებ. რედაქტორი პ. **ქუთათელაძე.**